ჯორექტირებული პროექტის ჯონსტრუქციული ნაწილის განმარტებითი ბარათი

ჯორექტირებული პროექტის "ქ. თბილისში, ვაჯე-საბურთალოს რაიონში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №34-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის" ჯონსტრუქციული ნაწილში დამუშავებულია მუშა ნახაზების ჯომპლექტი უკვე აშენებულ საცხოვრებელ სახლზე სამი არასრული სართულის დაშენებაზე.

ჯორექტირება შესრულდა არსებული საცხოვრებელი სახლის პროექტის (შეთანხმებული ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურთან), სათანადო არქიტექტურული დავალების, სს "საქქალაქმშენპროექტის" საინჟინრო კვლევის განყოფილების მიერ ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების, დასკვნების და რეკომენდაციების, აგრეთვე საქართველოში მოქმედი სათანადო ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის თანახმად სამშენებლო თვისებების მიხედვით გამოყოფილია სამი ფენა 1. ტბიურ-ჭაობიანი თიხოვანი გრუნტები; 2. ძირითადი ქანი - თიხიანი ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, გამოფიტული; 3. ძირითადი ქანი - თიხიანი ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, ნაკლებად გამოფიტული.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის, დამკვეთისა და სამშენებლო ორგანიზაციასთან შეთანხმებით საცხოვრებელი სახლი დაფუძნებულია ნაკლებად გამოფიტულ ძირითად ქანებზე (ფენა 3) ბურღვით-ნატენი ხიმინჯების საშუალებით. ხიმინჯების დიამეტრად შერჩეულია იქნა 1.2 მ.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვლისწინებით სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიან ზონაში.

დატვირთვების შეკრება ჩატარდა სამშენებლო ნორმებისა და წესების სნ და წ 2.01.07-85-ის შესაბამისად. თოვლის დატვირთვა მიღებულია 70 კგ/მ^2 (II რაიონი), ხოლო ქარის დატვირთვა (10 მ-ის სიმაღლეზე) - 70 კგ/მ^2 (V რაიონი).

აშენებული საცხოვრებელი სახლი გეგმაში სიმეტრიულია. შენობა 12-სართულიანია. აქედან შენობის ორ სართულზე განლაგებულია ავტოფარეხები (ღია ავტოსადგომები).

შენობის ჯონსტრუქციულ სისტემად ორივე მიმართულებით მიღებული იყო მონოლითური რკინა-ბეტონის ჩარჩო მზიდი დიაფრაგმებით. კედლების შევსება II კატეგორიის წვრილი ბლოკებით (მოცულობითი წონა არაუმეტეს 1200 კგ/მ^3) ბეტონის კლასი არანაკლები B3,5.

შენობის ჯონსტრუქციული სისტემის გაანგარიშება ჩატარებულია დატვირთვების ძირითად და განსაკუთრებულ თანწყობაზე სნ და წ II-7-81**-ის შესაბამისად. ძალვები ჩარჩოების ელემენტებში და საძირკვლებზე სეისმური დატვირთვების გათვალისწინებით განსაზღვრულია ჯომპიუტერული საანგარიშო ჯომპლექსის - "ლირა-9.2" გამოყენებით. შენობის ამტანუნარიანობის გაანგარიშების დროს კარკასის შევსების ამტანუნარიანობა გათვალისწინებული არ ყოფილა.

გადახურვები მონოლითური რკინა-ბეტონისაა სისქით 16 სმ. მონოლითური გადახურვის ფილის სიხისტის წიბოები (დოკუმენტაციაში პირობითად "მონოლითური რიგელები") შენობის გარე და შიგა ღერძებზე მოწყობილია გადახურვის ფილიდან დაბლა ტრადიციული ფორმით. გადახურვის ფილის სიხისტის წიბოების სიმაღლე გადახურვის ფილასთან ერთად შეადგენს h=500 მმ-ს.

კიბეები მონოლითური რკინა-ბეტონისაა.

წინამდებარე კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში ჩატარდა შენობის გადაანგარიშება დამატებული არასრული სამი სართულის დატვირთვების გათვალისწინებით კომპიუტერული საანგარიშო პროგრამით "ლირა 9.6".

გაანგარიშების შედეგებმა აჩვენა, რომ კოლონების კვეთები და მათში ჩაწყობილი მუშა არმატურების ფართობები აკმაყოფილებენ სართულების დამატების შემდეგ მოთხოვნილ კოლონების კვეთებსა და მუშა არმატურების ფართობებს.

გაანგარიშების გაანალიზებით შეიძლება დავასკვნათ, რომ შენობის მდგრადობა, კოლონების კვეთებისა და მათი მუშა არმატურების ფართობების საკმარისობა უზრუნველყოფილია.

კონსტრუქტორი გ. შელია